



ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№ \_\_\_\_\_

12 02 2018 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანება № 4

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) დებულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დებულების დამტკიცების შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე


ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დებულება დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2017 წლის 2 ივნისის №10 ბრძანებით დამტკიცებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (ფაკულტეტის) დებულება.
3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის დაევალოს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის  
სრულუფლებიანი წარმომადგენელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის  
ქორეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი) + ზუსუკა





ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დებულება

2018 წელი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის (შემდგომში - სკოლა) სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. სკოლა არის უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას. სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი შიდა აქტების საფუძველზე.

მუხლი 2. სკოლის სტრუქტურა

1. სკოლა შედგება მართვის ორგანოებისგან და საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი სხვა სტრუქტურული ერთეულებისგან.
2. სკოლის მართვის ორგანოებია:
  - ა) სკოლის საბჭო;
  - ბ) სკოლის დეკანი.
3. სკოლაში, ასევე ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და სტუდენტური თვითმმართველობა, რომელსაც სკოლაში ჰყავს შესაბამისი წარმომადგენელი.
4. სკოლაში იქმნება დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო სადისერტაციო საბჭო, რომლის უფლებამოსილება და არჩევის წესი განისაზღვრება შესაბამისი დებულებით. შესაძლებელია შესაბამისი დარგის/სპეციალობის მიხედვით შეიქმნას სადისერტაციო საბჭოები.
5. სკოლაში დასაქმებულ პირთა, მათ შორის სამეცნიერო ცენტრების თანამშრომელთა რაოდენობა, თანამდებობები და ფუნქციები განისაზღვრება საშტატო განრიგის, სამუშაო აღწერილობებისა და მათთან გაფორმებული შრომის ხელშეკრულებების შესაბამისად. საჭიროებისამებრ შესაძლებელია შტატგარეშე თანამშრომლებთან ხელშეკრულებების გაფორმება.
6. სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით რექტორი სკოლის დეკანის წარდგინებით ნიშნავს მიმართულების ხელმძღვანელს, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

### მუხლი 3. სკოლის უფლებამოსილებები

1. სკოლა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

- ა) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და შესაბამისი სილაბუსების მომზადებაში;
- ბ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან ერთად განსაზღვრავს კოეფიციენტებს და სხვა მოთხოვნებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;
- გ) აცხადებს მიღებას საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე. სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში ადგენს მიღების წინაპირობებს, შეიმუშავებს საგამოცდო თემატიკას და გრაფიკს და აღნიშნულ ინფორმაციას წარუდგენს უფლებამოსილ პირებს;
- დ) განსაზღვრავს ადგილების რაოდენობას მობილობისა და შიდა მობილობისთვის, ადგენს მიღების წინაპირობებს, გამოცდების ჩატარების გრაფიკს და ინფორმაციას წარუდგენს უფლებამოსილ პირებს;
- ე) უზრუნველყოფს სტუდენტთა პირადი საქმეების ფორმირებას;
- ვ) კონსულტაციას უწევს სტუდენტებს;
- ზ) უზრუნველყოფს კურსდამთავრებულზე გასაცემი დიპლომის დანართის შევსებას, ხოლო დიპლომის დასაბეჭდად შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის ინფორმაციის მიწოდებას;
- თ) ზედამხედველობას ახორციელებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე და ხელს უწყობს მის ეფექტურად წარმართვას;
- ი) ამზადებს მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებებს;
- კ) ამზადებს შესაბამის დასკვნებს;
- ლ) მონიტორინგს უწევს შიდა საუნივერსიტეტო ბაზაში ლექტორების მიერ სტუდენტთა შეფასებების დროულად ასახვას;
- მ) უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ ცნობების გაცემას;
- ნ) უზრუნველყოფს შესაბამისი სპეციალისტების მოწვევას;
- ო) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს აწვდის ინფორმაციას ცხრილების შესადგენად;
- პ) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენას;
- ჟ) მონაწილეობს ავტორიზაციის/აკრედიტაციის თვითშეფასების პროცესში;
- რ) ახორციელებს შიდა საუნივერსიტეტო აქტებით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს;
- ს) ახორციელებს ისეთი უფლებამოსილებასაც, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით, მაგრამ გამომდინარეობს უნივერსიტეტის საჭიროებიდან.

#### მუხლი 4. სკოლის საბჭოს ფუნქციები და საქმიანობის წესი

1. სკოლის საბჭო არის სკოლის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის სკოლის ყველა აკადემიური პერსონალი, სკოლის დეკანი და დეკანის მოადგილე.
2. სკოლის საბჭოს თავმჯდომარეა სკოლის დეკანი, რომელსაც რექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი.
3. სკოლის საბჭოს ჰყავს სწავლული მდივანი, რომელსაც ირჩევს სკოლის საბჭო.
4. სკოლის საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმათა უბრალო უმრავლესობით.
5. სკოლის საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
  - ა) ანიჭებს კვალიფიკაციას;
  - ბ) შეიმუშავებს სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების პროექტებს;
  - გ) ამტკიცებს სკოლის განვითარების გეგმას;
  - დ) დადგენილი წესის შესაბამისად განიხილავს მომზადებულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც ამტკიცებს რექტორი;
  - ე) ახორციელებს შიდა საუნივერსიტეტო აქტებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

#### მუხლი 5. სკოლის დეკანი და დეკანის მოადგილე

1. სკოლის დეკანი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:
  - ა) უზრუნველყოფს სკოლის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას;
  - ბ) სკოლის საბჭოს წარუდგენს სკოლის განვითარების გეგმას და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მოთხოვნებს, ასევე, სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების პროექტებს;
  - გ) პასუხისმგებელია შიდა საუნივერსიტეტო აქტების შესრულებაზე;
  - დ) დადგენილი წესის შესაბამისად უფლებამოსილ პირს თანამდებობაზე დანიშვნის ან გათავისუფლების მიზნით წარუდგენს სკოლის თანამშრომლებს;
  - ე) თავმჯდომარეობს სკოლის საბჭოს სხდომებს;
  - ვ) ამყარებს კონტაქტებს სასწავლო, სამეცნიერო და სხვა დაწესებულებებთან;
  - ზ) ახორციელებს შიდა საუნივერსიტეტო აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
2. სკოლის დეკანის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს სკოლის დეკანის მოადგილე.
3. სკოლის დეკანის მოადგილე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

- ა) ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესს;
  - ბ) ორგანიზებას უწევს სკოლის საბჭოს სხდომების მოწვევას;
  - გ) ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებას;
  - დ) ახორციელებს შიდა საუნივერსიტეტო აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
4. სკოლის დეკანის მოადგილეს დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

### მუხლი 6. ფოლკლორის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი

#### 1. ცენტრის მიზნები და ამოცანებია:

- ა) მრავალსაუკუნოვანი ქართული ზეპირსიტყვიერების დღემდე სათანადოდ შეუსწავლელი საკითხების წინ წამოწევა, კვლევა და პოპულარიზაცია;
  - ბ) ქართული ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ადგილისა და მნიშვნელობის გარკვევა ინტეგრაციისა და გლობალიზაციის საყოველთაო მოვლენების პირობებში;
  - გ) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის უღვევი „მარაგიდან“ იმ მხატვრული თავისებურებებისა თუ რწმენითი პლასტების აქცენტირება, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ქართველთა მსოფლმხედველობის ერთიანი სურათის შემუშავება;
  - დ) საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (საინგილო, იმერხევი, ფერეიდანი და ა.შ.) აქამდე უცნობი ხალხური სიტყვიერების ნიმუშთა მოძიება, ჩაწერა, თემატურ-ჟანრობრივი კლასიფიკაცია და შესწავლა;
  - ე) შეგროვილი მასალის გამოყენებით მონაცემთა ბაზის შექმნა;
  - ვ) ქართული ფოლკლორის ენციკლოპედიური ლექსიკონის მომზადება;
  - ზ) სასულიერო ხალხური პოეზიის შესწავლა;
  - თ) ხანმოკლე ფოლკლორული ექსპედიციების ჩატარება საქართველოს ტერიტორიაზე;
  - ი) ეროვნული სიტყვიერების მხატვრულ-შემეცნებითი ღირებულებების გაცნობა (შესაძლებლობის ფარგლებში) უცხოელ სპეციალისტთა და დაინტერესებულ პირთათვის.
2. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც სკოლის დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი. ცენტრის ხელმძღვანელი ვალდებულია სკოლას წარუდგინოს ყოველწლიური ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

### მუხლი 7. ქართველოლოგიის სამეცნიერო ცენტრი

#### 1. ცენტრის მიზნები და ამოცანებია:

- ა) ქართველთა დედაენის (სტანდარტული ენისა და მისი სახესხვაობების), ისტორიისა და ტრადიციული კულტურის (წერილობითი თუ ზეპირი) საფუძვლიანი შესწავლა, ქართველთა ერთ ისტორიულ დედაენაზე ორიენტირებული

ქართველოლოგიის განვითარება, მეცნიერული ქართველოლოგიის ძირითადი დებულებების ჩამოყალიბება თანამედროვე (საერთაშორისო) დეფინიციებისა და ტერმინოლოგიის გათვალისწინებით; აქტიური თანამშრომლობა როგორც უცხოელ ქართველოლოგებთან, ასევე, ზოგადად: ეთნოლოგებთან, ლინგვისტებთან, კულტუროლოგებთან, ისტორიკოსებთან, თანამედროვე ენციკლოპედიების სარედაქციო კოლეგიებთან;

ბ) ქართველთა ენობრივი სამყაროს, ისტორიული ონომასტიკის, ეთნოგრაფიული თავისებურებების, ისტორიის ცალკეული პრობლემებისა და ზეპირსიტყვიერების კვლევა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ფარგლებში, მაგრამ საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრები ქართველების კილოებსა და კულტურაზე;

გ) საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრები ქართველების (როგორც ავტოქთონი, ასევე მუჯაჰირებისა თუ სხვა მიგრანტებისა) - ტაოელების, ლაზების, იმერხელების, ლივანელების, მაჭახლელების, ფერეიდნელების, ინგილოების - დიალექტების, ეთნოგრაფიული თავისებურებების და ზეპირსიტყვიერების შესწავლა და დოკუმენტურ მასალათა კორპუსის შექმნა;

დ) კოორდინაციისა და ორგანიზების გაწევა თემატური საერთაშორისო ქართველოლოგიური სემინარებისთვის, სადაც მოხდება თანამედროვე ქართველოლოგიური კვლევების აპრობირება და უცხოელი ქართველოლოგების ინფორმირება; ასევე, უცხოელ და ქართველ სპეციალისტებს შორის კვლევის შედეგებისა და ინფორმაციების გაცვლა;

ე) ახალი თაობის ქართველი და უცხოელი მკვლევრების შეხვედრებისა და ერთობლივი კვლევების ორგანიზება;

ვ) ქართველოლოგიის მიმართულების მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის ხელშეწყობა ქართველური დიალექტების, ქართველური ფოლკლორისა და ეთნოგრაფიული მონაცემების შესწავლის პროცესში;

ზ) განმაზოგადებელი ხასიათის ქართველოლოგიური სამეცნიერო ნაშრომების შექმნა; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ქართველური ენათმეცნიერების, ფოლკლორისა და ეთნოლოგიის დარგებში მეთოდური სახელმძღვანელოების მომზადება, ლინგვისტური და ისტორიულ-გეოგრაფიული რუკების დამზადება და სხვა. სამეცნიერო ნაშრომებისა და ქართველოლოგიური კრებულების გამოცემა, განხილვა, პრეზენტაცია; ასევე, მიწოდება თანამედროვე (საერთაშორისო) ენციკლოპედიების სარედაქციო კოლეგიებისთვის);

თ) ქართული ენის სწავლების ინტერაქტიული ვებპორტალის შექმნა ქართველოლოგიით დაინტერესებული პირებისთვის;

ი) თანამედროვე აკადემიური სამეცნიერო ნაშრომების თარგმნა ევროპულ ენებზე და სამეცნიერო და საინფორმაციო ხასიათის ინტერაქტიული ვებგვერდების მომზადება, სადაც განთავსდება აკადემიური ქართველოლოგიური მასალა;

კ) ქართული ენისთვის ისეთი კომპიუტერული პროგრამების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ ქართული ნაწერის ტექსტის ავტომატურ გახმოვანებას, ხმოვანი ტექსტის ნაწერად ქცევასა და ორენოვან ავტომატურ თარგმანს.

2. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც სკოლის დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი. ცენტრის ხელმძღვანელი ვალდებულია სკოლას წარუდგინოს ყოველწლიური ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

#### მუხლი 8. ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის სამეცნიერო ცენტრი

1. ცენტრის მიზნები და ამოცანებია:

- ა) ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიის კვლევა და საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტების დამკვიდრების ხელშეწყობა;
- ბ) უცხოეთში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოძიება, შესწავლა და დოკუმენტირება თანამედროვე სტანდარტებით;
- გ) საინფორმაციო-საარქივო ბაზების შექმნა;
- დ) ქართული კულტურის პოპულარიზაციაზე ზრუნვა საქართველოსა და უცხოეთში;
- ე) სასწავლო-საგანმანათლებლო (სემინარების მოწყობა, საჯარო ლექციების ორგანიზება და სხვ.).

2. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც სკოლის დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი. ცენტრის ხელმძღვანელი ვალდებულია სკოლას წარუდგინოს ყოველწლიური ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

#### მუხლი 9. საეკლესიო - სამეცნიერო ცენტრი ქართული ქრისტიანული ენციკლოპედია

1. ცენტრის მიზნები და ამოცანებია:

- ა) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი ისტორიული მემკვიდრეობის და აგრეთვე თანამედროვე მდგომარეობის შესახებ არსებული მასალის სააშკარაოზე გამოტანა, შეგროვება და პოპულარიზაცია;
- ბ) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ არსებული წყაროებისა და ისტორიოგრაფიული ძეგლების გამოცემა;
- გ) სემინარების, კონფერენციების, სადისკუსიო შეხვედრების მოწყობა;
- დ) საქართველოს მართლმადიდებელი ენციკლოპედიის მომზადება და გამოცემა;
- ე) საქართველოს ისტორიისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის ილუსტრირებული ატლასების მომზადება და გამოცემა;
- ვ) კავკასიის ხალხთა რელიგიების შესახებ ენციკლოპედიური ლექსიკონის მომზადება;
- ზ) ენციკლოპედიური ლექსიკონის „მართლმადიდებლობა“ მომზადება და გამოცემა;
- თ) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარსულისა და თანამედროვეობის შესახებ მასალების შეგროვება;



ო) კავშირის დამყარება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ შესაბამის სამეცნიერო და საენციკლოპედიო ორგანიზაციებთან.

2. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც სკოლის დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი. ცენტრის ხელმძღვანელი ვალდებულია სკოლას წარუდგინოს ყოველწლიური ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

## მუხლი 10. საქართველოს ობიექტური ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

1. ცენტრის მიზნები და ამოცანებია:

ა) შეგნებულად დაფარული წარსულის წარმოჩენა და საქართველოს ობიექტური მატრიანის დაწერა უხსოვარი დროიდან დღემდე;

ბ) რეალური, დროული და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ათეისტურ ეპოქაში შემუშავებული იდეოლოგიის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორიის წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის;

გ) საქართველოს საეკლესიო კრებების სამართლის კვლევა;

დ) საქართველოს ეკლესიის კანონების კრებულების მომზადება;

ე) საქართველოს ეკლესიის ვითარცა ქართული კულტურის ერთ-ერთი შემოქმედის წარმოჩენა;

ვ) საქართველოს ეკლესიის ვითარცა ქართველი ერის ისტორიულ მაკონსოლიდირებელი ძალის წარმოჩენა;

ზ) საქართველოში უცხო რელიგიების გავრცელებისა და ამის შედეგად ქართველთა დენაციონალიზაციის საკითხის კვლევა (ქართველთა გამაჰმადიანება, არმენიზაცია და სხვ.);

თ) საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების დადგენა IV-XVIII სს-ში (შესაბამისად ეპარქიათა საზღვრების დადგენა);

ი) საქართველოს ეკლესიის ისტორიული ატლასის მომზადება, რომელიც მოიცავს 104 ისტორიულ და გეოგრაფიულ რუკას და შეეხება პირველ ათასწლეულს.

2. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც სკოლის დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი. ცენტრის ხელმძღვანელი ვალდებულია სკოლას წარუდგინოს ყოველწლიური ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.